განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანანათლებლო პროგრამა - საჯარო მმართველობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი:
27/08/2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

25/09/2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	245428158

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, ილიას სახ. უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ნოზაძე, ილიას სახ. უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში და მიზნად ისახავს საჯარო სექტორისათვის პროფესიონალი კადრების მომზადებას, პირველ რიგში აჭარის საჯარო სექტორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროგრამა თანხვერაშია უნივერსიტეტის სტრატეგიასა და მისიასთან. პროგრამა მოიცავს 240 ECTS-ს, წელიწადში 60 ECTS, სემესტრულად 30 ECTS. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიურ წელი. პროგრამა ითვალისწინებს დარგის ინტერდისციპლინურ მახასიათებლებს და მოიცავს ოთხ ძირითად ბლოკს, სამართალი, სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკა და ფინანსები და მართვა. პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტებისთვის სავალდებულოა პროფესიული პრაქტკის გავლა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვა, რომლებიც შეფასებულია 10-10 ECTS-ით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 27 ივლისს, 9:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომდგენლები: უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის ურზუნველყოფის სამსახურის უფროსი, თვითშეფასების ჯგუფი; პროგრამის ხელმძღვანელი; აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი; სტუდენტები (სხვა პროგრამების), კურსდამთავრებულები (სხვა პროგრამების), დამსაქმებლები და სტაჟირების განმახორციელებლები.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	**შესაბამისობა**
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მე-2 სტანდარტის 2.2. ქვესტანდარტი, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. ქვესტანდარტი, სასწავლო კურსი, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

- სოციოლოგიური კვლევის მეთოდები - აღნიშნული კურსის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში დამატება

- საჯარო სამსახურის შესახებ 2015 წლის კანონის შეტანა სავალდებულო ლიტერატურის სახით რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ კურსში:
  - საჯარო მმართველობა
  - სახელმწიფო მართვა
  - საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკები საქართველოში
  - გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიები

  - კურსში „**საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკა საქართველოში**“ შესავალი ხასიათის თემების ჩანაცვლება.

  - კურსის „**პერსონალის შერჩევა და მართვა**“ განახლება ლიტერატურისა და შინაარსობრივი თვალსაზრისით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამული შედეგების სამიზნე ნიშნულების უარყოფითი ფორმულირების („არ უნდა აღემატებოდეს“) შეცვლა პოზიტიური ფორმულირებით („განისაზღვროს, როგორც საერთო რაოდენობის დაახლოებით ---- %“)
  - რამდენადაც ეროვნული გამოცდების დებულების მიხედვით აბიტურიენტებს მოეთხოვებათ სამი სავალდებულო და ერთი არჩევითი საგნის ჩაბარება, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დროულად განსაზღვროს საჯარო მმართველობის პროგრამისათვის სასურველი მეოთხე, არჩევითი საგნების ჩამონათვალი.სილაბუსების ფორმატში სალექციო თემების ჩაშლილად, კონკრეტული ლექციის ფარგლებში დეტალიზებულად წარმოდგენა.
  - პროგრამის სილაბუსში კურსის „პროექტების წერა და მართვა“ სავალდებულო კომპონენტად დამატება

- პერსონალის შერჩევა და მართვა - აღნიშნული კურსის არჩევითი ბლოკებიდან სავალდებულო ბლოკებში გადმოტანა ადამიანური რესურსების მართვის, როგორც ორგანიზაციული მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კომპონენტის, თემატიკის გაძლიერებით
- „საჯარო მმართველობის საფუძვლების“ კურსში თემატური გადაფარვების კონტროლი სხვა კურსებთან და თემატიკის მეტი გამიჯვნა
- დამატებითი ლიტერატურის განახლება საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციების კვლევებით შემდეგ კურსებში:

  - საჯარო მმართველობა
  - სახელმწიფო მართვა
  - საჯარო ადმინისტრრების პრაქტიკები საქართველოში

- სასწავლო კურსებში დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურის დამატება მეექვსე სემესტრიდან
- ცალკეული საგნების მიმდინარე შეფასებიდან დისკუსიის, როგორც შეფასების ერთ-ერთი კომპონენტის ამოღება.

- ზოგადი საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან საჯარო ადმინისტრირების პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტში შემდეგი ინფორმაციის გადმოტანა - გამოყოფილი თანხების ოდენობები:

  - სამეცნიერო-კვლევითი მივლინებები

  - სტუდენტური პროექტები

  - შიდა საუნივერსიტეტო საპროექტო გრანტების პროგრამისათვის განკუთვნილი წილი

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში და მოიცავს 240 ECTS-ს, წელიწადში 60 ECTS, სემესტრულად 30 ECTS. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი. პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის ზოგადი მისიის შესაბამისად და მიზნად ისახავს საჯარო სექტორისათვის პროფესიონალი კადრების მომზადებას, პირველ რიგში, აჭარის საჯარო სექტორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროგრამის მიზნები და სწავლების შედეგები მოიაზრებს კურსდამთავრებულის აღჭურვას ისეთი ცოდნით, როგორიცაა საჯარო მმართველობის თეორიული საფუძვლები და კონცეფციები, და მმართველობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები. პროგრამა ითვალისწინებს დარგის ინტერდისციპლინურ მახასიათებლებს და მოიცავს ოთხ ძირითად ბლოკს, (სამართალი, სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკა და ფინანსები და მართვა). პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტებისთვის სავალდებულოა პროფესიული პრაქტიკის გავლა და საბაკალავრო ნაშრომის დაცვა, რომლებიც შეფასებულია 10-10 ECTS-ით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, მიმართულია საჯარო მმართველობის პროგრამის კურსდამთავრებულისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გადაცემისათვის. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს 1.1. ქვესტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის რექტორთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ○ დანართი 3, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024)
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის მიხედვით განსაზღვრულია 9 ძირითადი სწავლის შედეგი, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულმა შეიძინოს დარგის კვალიფიციური სპეციალისტისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. კონკრეტული სავალდებულო სასწავლო კურსების მიხედვით განსაზღვრულია შედეგზე გასვლის დონე - 1 აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგზე გასვლას შესავლის ანუ გაცნობით დონეზე, 2 აღნიშნავს მოცემული საგნის მიმართულებით უნარების გაღმავებას, ხოლო 3 აღნიშნავს სტუდენტის უნარების განმტკიცებას. საბაკალავრო ნაშრომი და პროფესიული პრაქტიკა, როგორც შემაჯამებელი ხასიათის კომპონენტები, შეესაბამება ცხრავე განსაზღვრულ შედეგს მესამე დონეზე, რაც 9-ვე შედეგისათვის ნიშნულების შეფასების საშუალებას იძლევა.

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება შემდეგი სამიზნე ნიშნულებით:

  1. საუკეთესო სტუდენტების (91-100 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10% არ უნდა აღემატებოდეს;

  2. დაბალი აკადემიური მოსწრების (51-60 ქულა) სტუდენტების რაოდენობა საერთო რაოდენობის 10 % არ უნდა არემატებოდეს;

  3. საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტების: ა) (81-90 ქულა) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 25 %; ბ) (71-80 ქულა) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერტო რაოდენობის 25 %; გ) (61-70 ქულა) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 25 %;

- პროგრამული შედეგების სამიზნე ნიშნულად მიჩნეულია 71%, რომელიც მიღებულია საუკეთესო სტუდენტების, დაბალი აკადემიური მოწრებისა და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტების ზღვრული შეფასების შედეგების არითმეტიკული გაანგარიშებით შეფასების შეფასების ზღვრული შეფასების ქვედა ნიშნულების რაოდენობაზე.

- ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის დეკლარირებულ მიზნებს და არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. თუმცა, აღსანიშნავია, შემდეგი:

- მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ვეთანხმებით აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულების პროცენტულ განაწლებას, მიგვაჩნია, რომ სამიზნე ნიშნულების უარყოფითი ფორმით ჩამოყალიბება („არ უნდა აღემატებოდეს“) არ არის მიზანშეწონილი, რადგან შესაძლებელია გახდეს სტუდენტის მხრიდან ლექტორის არასამართლიანად ქულის დაწევის ეჭვის საფუძველი. ექსპერტთა რჩევაა, სამიზნე ნიშნულების განმარტება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საუკეთესო სტუდენტების (91-100 ქულა) რაოდენობა განისაზღვროს, როგორც საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%.“ და ა.შ.

- აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედეგების ცალკეული კომპეტენციების შეთანხმება მოხდა დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. დადგენილია შესაბამისობა თითოეულ კომპონენტსა და პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო აქტივობებს შორის, თითოეული აქტივობის შეფასების მექანიზმი ნათლად არის განსაზღვრული.

- პროგრამის შედეგების პერიოდული შეფასება უზრუნველყოფილია სხვადასხვა პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით, როგორებიცაა ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მონიტორინგი; გამოცდებისა და მიმდინარე შეფასებების ანალიზი; სტუდნეტთა გამოკითხვა; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, დამსაქმებელთა გამოკითხვა; სტუდენტებისათვის შეფასების შესახებ უკუკავშირის მექანიზმების უზრუნველყოფა. სასწავლო პროცესის თითოეული ციკლის დასრულების შემდეგ განსაზღვრულია პროგრამის შედეგების შეფასების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა, მათ შორის, ჩართულ მხარეებთან კომუნიკაციის შედეგად, პროგრამის შინაარსობრივი და/ან სტრუქტურული გაუმჯობესების მიზნით.

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის რექტორთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან
- იურიდიული და სოციალურ მეცნიერებებათა ფაკულტეტი საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შეფასების სამიზნე ნიშნულების უარყოფითი ფორმულირების შეცვლა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის	X			

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროგრამის შესახებ ინფორმაცია პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, http://bsu.edu.ge. დაგეგმილია პირადი კონსულტაციები პროგრამის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან. ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის პლატფორმაზე შექმნილია ელექტრონული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას, არამედ სწავლის მიმდინარეობის, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის და სხვა სერვისებს. ○ ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულია ეროვნული გამოცდების ჩაბარება შემდეგ საგნებში - ინგლისური ენა, ქართული ენა და ისტორია. ფაკულტეტის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მეოთხე არჩევითი საგნის - სამოქალაქო განათლების - დამატება. ○ გათვალისწინებულია შიდა ან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა. ○ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რამდენადაც ეროვნული გამოცდების დებულების მიხედვით აბიტურიენტებს მოეთხოვებათ სამი სავალდებულო და ერთი არჩევითი საგნის ჩაბარება, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დროულად განსაზღვროს საჯარო მმართველობის პროგრამისათვის სასურველი მეოთხე, არჩევითი საგნების ჩამონათვალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი ○ ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რამდენადაც ეროვნული გამოცდების დებულების მიხედვით აბიტურიენტებს მოეთხოვებათ სამი სავალდებულო და ერთი არჩევითი საგნის ჩაბარება, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დროულად განსაზღვროს საჯარო მმართველობის პროგრამისათვის სასურველი მეოთხე, არჩევითი საგნების ჩამონათვალი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაზე მუშაობა დაიწყო 2018 წლის დასაწყისიდან, ეკონომიკის და ბიზნესის და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სამართლის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტების მონაწილეობით. პროგრამაზე მუშაობა დასრულდა 2019 წლის ივნისში და მომზადებულ იქნა აკრედიტაციისთვის წარსადგენად. პროგრამაზე

სტუდენტების მიღება დაგეგმილია 2020-2021 სასწავლო წლისთვის.

- პროგრამა შედგენილია ბსუ-ში მოქმედი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის შესაბამისად. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვოდა სამუშაო ჯგუფის შექმნა, ჯგუფის მიერ ბაზრის საჭიროებების შესწავლა და შეხვედრა გარე დაინტერესებულ მხარეებთან; შემუშავებულ პროგრამა განსახილველად გადაეცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინა კურიკულუმის კომიტეტს.
- პროგრამის ზოგადი სტრუქტურა თანმიმდევრულია და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:
  - საბაზისო სავალდებულო კურსები
  - საბაზისო არჩევითი კურსები
  - სპეციალობის სავალდებულო კურსები
  - სპეციალობის არჩევითი კურსები
  - თავისუფალი კომპონენტი
  - საბაკალავრო ნაშრომი
  - პროფესიული პრაქტიკა
- საბაზისო სავალდებულო კურსები, რომლებიც მოიცავს საჯარო მმართველობის, სამართლის, მენეჯმენტისა და ეკონომიკის შესავალ კურსებს, ასევე აკადემიური მუშაობის ტექნიკას და ინგლისური ენის A-დან A 1.2 დონის კურსებს, საერთო ჯამში 45 კრედიტს მოიცავს და პირველ სასწავლო წელს იკითხება. ინგლისური ენის კურსები B2 დონის ჩათვლით სავალდებულოდ ისწავლება მესამე სემესტრის განმავლობაში. ამავე წელს დარჩენილი 15 კრედიტის შესავსებად სტუდენტს საშუალება აქვს აირჩიოს საბაზისო არჩევითი კურსები, და საგანები სამართლის და სოციალ-პოლიტიკური მიმართულების, სავალდებულო ბლოკებიდან.
- სპეციალობის სავალდებულო კურსები მოიცავს:
  - სამართლის სავალდებულო ბლოკს - ჯამში 25 კრედიტი
  - სოციალ-პოლიტიკური მიმართულების სავალდებულო ბლოკს - ჯამში 30 კრედიტი
  - ეკონომიკისა და ფინანსების სავალდებულო ბლოკს - ჯამში 30 კრედიტი
  - საჯარო ადმინისტრირების სავალდებულო ბლოკს - ჯამში 30 კრედიტი

დანარჩენი კრედიტები განაწილებულია სპეციალობის არჩევითი კურსების ბლოკებზე, საბაკალავრო ნაშრომზე, პროფესიულ პრაქტიკასა და თავისუფალ კომპონენტებზე (10-10 კრედიტი)

- ექსპერტების ხედვით, სავალდებულო სასწავლო ბლოკებში განსაზღვრული საგნები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, საჯარო მმართველობის საფუძვლები, ისევე, როგორც საჯარო მმართველობის სავალდებულო ბლოკის საგნები უზრუნვნელყოფს შემდეგ სწავლის შედეგებს:

  I -ჩამოთვლის და იხსენებს პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის და მმართველობასთან დაკაშირებულ ტერმინოლოგიას, ცნებებს, დეფინიციებს, კონცეფციებს, თეორიებს, დოქტრინებს და აღწერეს სამართლის, პოლიტიკის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, კონფლიქტების, უსაფრთხოების, ადმინისტრირების, კომუნიკაციის და სოციალური ურთიერთობების ძირითად საკითხებს. ,

  II - გათავისებული აქვს საჯარო მმართველობის სუბიექტების საქმიანობის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა, საჯარო მმართველობის პროცესების სირთულე, საჯარო მოხელეთა პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკური ნორმების დაცვის, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის აუცილებლობა.

IV - არჩევს და იყენებს აპრობირებულ მეთოდებს მმართველობით-ადმინისტრაციულ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების და განხორციელებული ქმედებების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიმართულებით ანალიზისთვის, არგუმენტირებული, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც ამოიცნობს და ახდენს იმ პრობლემების იდენტიფიცირებას/ფორმულირებას, რაც დაკაშირებულია მმართველობით გადაწყვეტილებებთან და საჯარო-მმართველობით პროცესის განხორციელებასთან;

V -იყენებს ძირითად პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და მმართველობით ცოდნას პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით დასახული მიზნების და ამოცანების განხორციელებისათვის; კერძოდ, საჯარო სამსახურების იმიჯის ფორმირების ძირითად და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საბაზო ტექნოლოგიებს, საქმიანი ურთიერთობების და საჯარო გამოსვლის ტექნიკებს; მოტივაციის, ლიდერობის და ხელისუფლების თეორიებს მმართვეობითი ამოცანების გადაწყვეტისთვის და ჯგუფური მუშაობის ორგანიზებასთვის. საბაზისო კვლევის მეთოდებს სოცალური და პროფესიული საქმიანობისათის წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

VII - აფასებს სოციალურ-ეკონომიკურ პროექტების და სახელმწიფო განვითარების პროგრამების სტატისტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ პირობებს და შედეგებს; ადამიანური რესურსების მნიშვენელობას და მდგრადი განვითარების საჭიროებების აუცილებოლობას; საინვესტიციო პროექტებს ეკონომიკური და საფინანსო მიმართულებით. ანაწილებს რესურსებს სხვადასხვა მეთოდებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მონაწილეობს საჯარო დაწესებულების ინფორმატიზაციის, პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციის პროცესში;

VIII - ამზადებს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, სტატისტიკურ, საბიუჯეტო და ფინანსური ანგარიშგებებს/მოხსენებებს და აყალიბებს მოსაზრებებს, ახდენს ადმინისტრაციული მიზნებისათვის საჭიროებების იდენტიფიკაციას, წინადადებების ფორმულირებას, ხსნის, განმარტავს, აწარმოებს კამათს, პრეზენტირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე (განსაზღვრულ დონეზე) პროფესიული საქმიანობის განხორციელების, პიროვენებათშორის და კულტურათშორის ურთიერთობის ამოცანების გადაწყვეტისთვის, ავლენს თანამშრომლებთან და მოქალქეებთან ეფექტური კომუნიკაციის მზაობას; აწაროებს მოლაპრაკებებს, თათბირებს და ახაორციელებს საქმიან მიმოწერას პრაქტიკაში;

IX - პატივს სცემს საჯარო მოხელის და მოქალაქის ურთიერთობაში დადეგნილი სამართლებრივი და მორალური ნორმების დაცვის საჭიროებას; ცნობს ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს და მოქმედებს ტოლერანტული მიდგომებით. იღებს და იზიარებს პასუხისმგებლობას პროფესიული უფლება-მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის და საკუთარი/სხვების შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენასა და განხორციელებაზე, რისთვისაც აკავშირებს და იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკშირებულ მეთოდურ, საცნობარო და გზამკვლევ, მათ შორის სამართლებრივ და საგანამანთლებლო მასალებში მოცემულ მითითითებებს და ინფორმაციას, რის საფუზველზეც ახდენს თვითორგანიზებას და განათლების მიღების უზრუნველყოფას/ხელსეწყობას.

აღსანიშნავია, რომ სადიპლომო ნაშრომი და პროფესიული პრაქტიკა უზრუნველყოფს სწავლის ცხრავე შედეგის მიღწევას

- ექსპერტთა მოსაზრებით, სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან პროგრამის ავტორების მიერ განსაზღვრული შესაბამისობა რეალისტური და მიღწევადია.
- ზოგადად, კრედიტების განაწილება სემესტრებისა და პროგრამის კომპონენტების

	მიხედვით შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დადგენილ აკრედიტაციის სტანდარტს, თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველი იქნებოდა არჩევითი ბლოკის ორი კურსის სავალდებულო კურსებში გადმოტანა: - პროექტების წერა და მართვა - კურსი შედის ეკონომიკისა და ფინანსების ბლოკის არჩევით სასწავლო კურსებში, თუმცა, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, მისი სწავლება მნიშვნელოვან პრაქტიკულ უნარებს ავითარებს. აღნიშნული რჩევის გაცემისას გათვალისწინებულია ისიც, რომ პროექტის წერა და პრეზენტაცია რამდენიმე სავალდებულო საგნის დავალებებისა და შეფასების კომპონენტს წარმოდგენს, როგორებიცაა აკადემიური მუშაობის ტექნიკა, მართვის სოციოლოგია, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, საჯარო ფინანსები, სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება, საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მართვა, სახელმწიფოს მართვა, საჯარო პოლიტიკა, ელექტრონული და ღია მმართველობა, მუნიციპალური მმართველობა, გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიები და საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკა საქართველოში. - პერსონალის შერჩევა და მართვა - კურსი ისწავლება საჯარო ადმინისტრირების ბლოკის არჩევით სასწავლო კურსებში. კურიკულუმში ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თემას მხოლოდ ეს კურსი ეხება, თუმცა აღსანიშნავია, რომ კურსი „სამოხელეო სამართალი“ განიხილავს საჯარო მმართველობის რეფორმით გათვალისწინებულ პერსონალის მართვის ძირითად საკითხებს; თუმცა, ადამიანური რესურსების მართვა, როგორც ორგანიზაციული მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კომპონენტი, საჯარო მოხელისათვის აუცილებელია შესაბამისი უნარების განვითარებისა და ცოდნის მიღებისათვის. ამდენად, სასურველად მიგვაჩნია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კურსის დამატება სავალდებულო ბლოკში. ○ საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც კურიკულუმის ერთ-ერთ შემაჯამებელ კომპონენტს წარმოადგენს, პროფესიულ პრაქტიკასთან ერთად, უზრუნველყოფს სწავლის ყველა დასახული შედეგის მიღწევას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ნაშრომის მოთხოვნებში უნდა იყოს გათვალისწინებული კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარის განვითარებაც, როგორც ეს გათვალისწინებულია III შედეგით; შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კურსდამთავრებულს ჰქონდეს კვლევის განხორციელების უნარი რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. სოციალური კვლევის მეთოდებს ეთმობა 4 საათი (2 სალექციო და 2 სასემინარო) აკადემიური მუშაობის საფუძვლების კურსის ფარგლებში, რაც, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, არ არის საკმარისი. კვლევის მეთოდების აუცილებლობაზე ისაუბრეს სტუდენტებმა და მოწვეულმა პედაგოგებმაც. სასურველია კვლევის მეთოდების, როგორც სავალდებულო საგნის შემოტანა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტი ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან ○ კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობისა და მუშაობის გეგმის დამტკიცების შესახებ	

- დადგენილება 37, ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ
- სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის სხდომების ოქმები

რეკომენდაციები:

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები - აღნიშნული კურსის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში დამატება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სილაბუსში კურსის „პროექტების წერა და მართვა“ სავალდებულო კომპონენტად დამატება
- პერსონალის შერჩევა და მართვა - აღნიშნული კურსის არჩევითი ბლოკებიდან სავალდებულო ბლოკებში გადმოტანა ადამიანური რესურსების მართვის, როგორც ორგანიზაციული მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კომპონენტის, თემატიკის გაძლიერებით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ექსპერტების მიერ სილაბუსების შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე შენიშვნა:

- სილაბუსების დიდ ნაწილში არ არის ჩაშლილი სალექციო თემები. შესაბამისად, რთულია მსჯელობა, კონკრეტულად რა საკითხები იქნება დაფარული სალექციო პერიოდში, ასევე, რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი სილაბუსი კურსის სირთულეს და არის თუ არა გადაფარვა და თანხვედრა სხვა, მომიჯნავე საგნებთან.

- საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ არც ერთ კურსში ლიტერატურის ჩამონათვალში (ძირითადი და დამხმარე) არ გვხვდება საჯარო სამსახურის შესახებ 2015 წლის კანონი. რამდენადაც ეს კანონი წარმოადგენს საქართველოში მიმდინარე საჯარო სამსახურის რეფორმის საძირკველს, სავალდებულოდ მიგვაჩნია მისი დამატება როგორც ლიტერატურაში, ასევე სალექციო თემებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მართვის სილაბუსი მოიცავს საჯარო სამსახურის რეფორმისა და პოლიტიკის გზამკვლევების დოკუმენტების განხილვას.

- ბუნდოვანია ლოგიკა, რომლითაც საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის თემები არის გადანაწილებული სხვადასხვა საგნების სილაბუსებში.

საჯარო მმართველობის საფუძვლები, რომელიც წარმოადგენს საბაზისო სავალდებულო კურსს და ისწავლება პირველ სემესტრში, შედგენილია რ. დენჰარდტის სახელმძღვანელოს ბაზაზე, რომელიც დღესდღეობით ერთადერთ ქართულად თარგმნილ სახელმძღვანელოს წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში. მიუხედავად ამისა, გარკვეული თემები განახლებას საჭიროებს დამატებითი წყაროებიდან. სილაბუსში მითითებულია ერთი კვლევა (ცარციძე, ცუხიშვილი, ყალიჩავა), რომელიც საჯარო სექტორს აღწერს საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე, შესაბამისად, გარკვეულწილად, ეს კვლევაც ვერ ასახავს მიმდინარე პროცესებს.

კურსი, როგორც აღინიშნა, საბაზისოა, შესაბამისად, გარკვეული გადაფარვები სხვა კურსებთან შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ სტუდენტებისათვის აღნიშნული თემების მხოლოდ გაცნობითი ხასიათის წარდგენა ხდება, თუმცა, მიგვაჩნია, რომ თემატური გადაფარვები მაინც უნდა აღინიშნოს:

თემა:	კურსი:
საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება	საჯარო პოლიტიკა
ბიუჯეტის შედგენა და ფინანსური მართვა	საჯარო ფინანსები
ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში	პერსონალის შერჩევა
ლიდერობა და მმართველობითი უნარ-ჩვევები	მენეჯმენტის საფუძვლები
საჯარო მართვა და გადაწყვეტილების მიღების	გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიები

მოდელები	
ელექტრონული ტექნოლოგიები საჯარო მართვაში	ელექტრონული და ღია მმართველობა

გადაფარვები ყურადსაღებია ასევე, რამდენადაც საჯარო მმართველობის მიმართულებით ძირითადი კურსები მიჰყავს ერთ ლექტორს.

კურსი **საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკა საქართველოში** - მიგვაჩნია, რომ მნიშნელოვანი გადაფარვაა შინაარსობრივად გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიების კურსთან, რამდენადაც ორივე უნდა გულისხმობდეს კონკრეტული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკების ქეისების განხილვას ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე საქართველოში. ისევ, რამდენადაც სილაბუსებში არ არის სალექციო თემები ჩაშლილად მოწოდებული, უფრო ზუსტი მსჯელობა სავარაუდო გადაფარვების შესახებ შეუძლებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კურსში არ არის საუბარი საჯარო სამსახურის შესახებ ახალ კანონზე, რომელიც დეტალურად აწესრიგებს ადმინისტრაციულ პრაქტიკას საქართველოს საჯარო სექტორში.

მიუხედავად იმისა, რომ კურსი ისწავლება მერვე სემესტრში, სილაბუსში პირველი სამი თემა შესავალი ხასიათისაა:

- საჯარო ადმინისტრირება ძირთადი ტერმინოლოგია, ცნებები, დეფინიცები, თეორიები
- საჯარო ადმინისტრირება დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში
- საჯარო ადმინისტრირების კონსტიტუციური საფუძვლები

ასევე, გვხვდება მუნიციპალური მმართველობის საგნის თემები:

- თვითმმართველობა და ადმინისტრირების პრაქტიკა საქართველოში აჭარის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მაგალითზე
- თვითმმართველობა და ადმინისტრირების პრაქტიკა საქართველოში ქ. ბათუმის

კურსი **სახელმწიფო მართვა** წარმოდგენილია, როგორც მუნიციპალური მართვის კურსის საპირწონე, თუმცა, ახალი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ აღარ აკეთებს გამიჯნვას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მმართველობის თვალსაზრისით.

გამოყენებულ ლიტერატურაში უახლესი წყარო არის 2010 წლის. სასურველია, დაემატოს ახალი კვლევები საჯარო მმართველობის შესახებ IDFI, GYLA, UNDP, მსოფლიო ბანკის ანგარიშები, Innovation for Successful Societies, Princeton University Case Studies - ქეისები საქართველოს საჯარო სექტორში განხორციელებული რეფორმების შესახებ და სხვ.

არ განიხილება სახელმწიფო მართვის მოდელები (კარიერული, კონკურენტული); თემები არსად არ არის ჩაშლილი და ძნელი გასაგებია, რას გულისხმობს მაგალითად, მართვის ისტორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები.

კურსის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის, და ეკონომიკური პოლიტიკის თემებს, რაც ერთი მხრივ, სავარაუდოდ, იმეორებს საჯარო ფინანსების კურსის თემატიკას, მეორე მხრივ, არღვევს კურიკულუმის ლოგიკას: საჯარო პოლიტიკა ისწავლება მე-6 სემესტრში, ხოლო აღნიშნული საგანი - მე-5 სემესტრში, შესაბამისად, ეკონომიკური პროგნოზირება, დაგეგმვა და პროგრამირება, რაც საჯარო პოლიტიკის თემებს წარმოადგენს, შესაძლოა რთული დასაძლევი გახდეს სტუდენტებისათვის.

კურსი **პერსონალის შერჩევა და მართვა**, ექსპერტების მოსაზრებით, მნიშვნელოვან ცვლილებებს და განახლებას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ კურსის დასახელება ზოგადად ადამიანური რესურსების მართვას მოიაზრებს, კურსში მიმოხილულია მხოლოდ საჯარო ორგანიზაციების პერსონალის მართვის თემები. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანური რესურსები, როგორც აღინიშნა, არც ცალკე საგნის სახით არ შედის და არც თემატურად მენეჯმენტის საფუძვლების საგანში, მიგვაჩნია, რომ ამან სირთულე შეიძლება შექმნას სტუდენტებისათვის მასალის ათვისების და სწორი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

კურსის მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ საჯარო პერსონალის მართვა განხილულია საჯარო სამსახურის შესახებ 1997 წლის გაუქმებული კანონის მიხედვით. ეს კანონია ასევე მითითებული ლიტერატურაშიც. შესაბამისად, სალექციო თემებშიც არ არის გათვალისწინებული განახლებული ტერმინოლოგია და მოცემულია ძველი, გაუქმებული განმარტებები. მაგალითად:

საჯარო მოსამსახურის ცნება და საჯარო მოსამსახურის სახეები: (1.სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, 2. მოხელე, 3. დამხმარე მოსამსახურე, 4. შტატგარეშე მოსამსახურე).

საჯარო სამსახურში თანამდებობათა რანგირება: ა) მთავარი საჯარო თანამდებობა, 2) წამყვანი საჯარო თანამდებობა, გ) უფროსი საჯარო თანამდებობა, დ) უმცროსი საჯარო თანამდებობა.

- რამდენადაც პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის აქტიური შესწავლა (საბოლოო შედეგი B2 დონე), სასურველია ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურის დამატება მეექვსე სემესტრიდან;
- კურსში **საჯარო პოლიტიკა** მე-8 და მე-9 კვირა ეთმობა დარგობრივი პოლიტიკების განხილვას. სასურველი იქნებოდა, სილაბუსში მოცემული იყოს უფრო ზუსტი ჩამონათვალი, რომელი პოლიტიკების განხილვა იგეგმება ამ ლექციებზე. ამგვარად, შესაძლებელი გახდებოდა მითითებული ლიტერატურის შესაბამისობის დაგდენა კურსის შინაარსთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები პროფესორებთან, მოწვეულ პედაგოგებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- საჯარო სამსახურის შესახებ 2015 წლის კანონის შეტანა სავალდებულო ლიტერატურის სახით რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ კურსში:

- საჯარო მმართველობა
- სახელმწიფო მართვა
- საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკები საქართველოში
- გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგიები

- კურში **საჯარო ადმინისტრირების პრაქტიკა საქართველოში** შესავალი ხასიათის თემების ჩანაცვლება;
- კურსის **პერსონალის შერჩევა და მართვა** განახლება ლიტერატურისა და შინაარსობრივი თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსების ფორმატში სალექციო თემების ჩაშლილად, კონკრეტული ლექციის ფარგლებში დეტალიზებულად წარმოდგენა
- **საჯარო მმართველობის საფუძვლების** კურსში თემატური გადაფარვების კონტროლი სხვა კურსებთან და თემატიკის მეტი გამიჯვნა
- დამატებითი ლიტერატურის განახლება საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციების კვლევებით შემდეგ კურსებში:
- ელექტრონული და ღია მმართველობა
- საჯარო მმართველობა
- სახელმწიფო მართვა
- საჯარო ადმინისტრრების პრაქტიკები საქართველოში
- სასწავლო კურსებში დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურის დამატება მეექვსე სემესტრიდან
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პრაქტიკული და სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის პროგრამაში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და პროფესიული პრაქტიკის გავლა. როგორც აღინიშნა, ორივე კომპონენტი უზრუნველყოფს სწავლის ცხრავე შედეგზე გასვლას. წარმოდგენილია ორივე კომპონენტის სილაბუსები. გარდა ამისა, მერვე სემესტრში მიმდინარე კურსების განმავლობაში (გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიები და საჯარო ადმინისტირების პრაქტიკა საქართველოში) სტუდენტებს ევალება პორტფოლიოს წარმოება, რომელშიც თავმოყრილი იქნება შესწავლილი საკითხების შესახებ შეგროვებული ყველა მასალა, სხვადასხვა სახის დავალება, მათ შორის, პროფესიული პრაქტიკის დავალებები, საშინაო დავალებები, ჯგუფში მუშაობისთვის შესრულებული დავალებები, ჩანაწერები, კითხვები, შენიშვნები და ა.შ. პორტფოლიო არის სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად და პერმანენტულად გაწეული მუშაობის შედეგი. ○ სტუდენტებთან და პედაგოგებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა რომ უნივერსიტეტი და კერძოდ, ფაკულტეტი დიდ მნიშნელობას ანიჭებს სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას. იმართება სტუდენტური კონფერენციები, სადაც სტუდენტთა მონაწილეობა წახალისებულია პრიზებით; ლექტორების მხრიდან ხელშეწყობილია სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა საგრანტო პროექტებში ○ მოქმედებს შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც პედაგოგებს და სტუდენტებს საშუალება აქვთ, განახორციელონ მიმდინარე მწვავე საკითხებზე კვლევა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ მემორანდუმები დამსაქმებლებთან ○ ინტერვიუს შედეგები მოწვეულ პედაგოგებთან, პროფესორებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან ○ საბაკალავრო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსები ○ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა ხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება #3-ში განსაზღვრულ სწავლება-სწავლის მეთოდებს. თითოეული საგანი ითვალისწინებს სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა ლექცია და სემინარი, ასევე დისკუსია, დებატები, დემონსტრირება და ზეპირი პრეზენტაცია, ქეისის გარჩევა/შემთხვევის ანალიზი, ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტის მომზადება, დამოუკიდებელი მუშაობა, წყაროების დამუშავება, პროფესიული პრაქტიკის გავლა, რაც ხელს უწყობს თეორიული და პრაქტიკული ცოდნს შეძენას. აღსანიშნავია ასევე, რომ საგნების დიდ ნაწილში განსაზღვრულია სემინარი, დისკუსია, დებატები და პრეზენტაცია, ხოლო სწავლება-სწავლის სხვა მეთოდები ცალკეულ საგანში გამოყენებულია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად:
  - აკადემიური მუშაობის საფუძვლები: ითვასლიწინებს პროექტის მომზადებას და პრეზენტაციას, ასევე რეფერატის მომზადებას და ჯგუფურ მუშაობას

- პროექტის მართვა - ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, საშინაო დავალებებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო პროექტის შერჩევას, გაანალიზებას და პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრას; სიტუაციურ ამოცანებს და ზეპირ პრეზენტაციებს
- საჯარო პოლიტიკა - სიტუაციური ამოცანების (ქეისის ანალიზი) კომპონენტს
და სხვა.

თითოეული სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები, მაქსიმალური ქულა და ჯამური შეფასება წარმოდგენილია შესაბამის სილაბუსში.

- ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს საგნის მიხედვით განსაზღვული სწავლის შედეგის მიღწევას და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

- უნივერსიტეტში გათვალისწინებულია მოწვეული ლექტორებისა და პროფესორების პროფესიული განვითარების ტრენინგები, რომელთა შესახებ ინფორმაცია მათ რეგულარულად მიეწოდებათ ელექტრონული მეილის და ტექსტური შეტყობინებების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან
- ინტერვიუს შედეგები მოწვეულ პედაგოგებთან, პროფესორებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ
- საგნების სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. გათვალისწინებულია შეფასების სულ მცირე 3 კომპონენტი - მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასება.
- სტუდენტებს საშუალება აქვთ, გაასაჩივრონ მიღებული შეფასება; უნივერსიტეტში მოქმედებს გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის პროცედურების მარეგულირებელი წესი
- შეფასება, ისევე, როგორც უკუგება აისახება და იმართება ელექტრონული პორტალის მეშვეობით
- დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება (40) არ აღემატება სტანდარტით დადგენილ ზღვარს, შუალედური და მიმდინარე შეფასების საერთო ქულა შეადგენს 60-ს.
- აღსანიშნავია, რომ მიმდინარე შეფასება, რომელიც შესაძლებელია რამდენიმე კომპონენტისაგან შედგებოდეს (ზეპირი პრეზენტაცია, ჯგუფური სამუშაო, ტესტი, რეფერატი), გულისხმობს დისკუსიის შეფასებასაც, რაც, ექსპერტთა აზრით, შეიცავს გარკვეულ რისკს: დისკუსია არ არის სტრუქტურირებული პროცესი იმდენად, რომ 40- ან თუნდაც 20-კაციან ჯგუფში ლექტორმა თანაბრად მოახერხოს თითოეული სტუდენტის ჩართულობის უზრუნველყოფა და ობიექტური შეფასების დაწერა.
- თითოეული საგნის სილაბუსში მოცემულია შეფასების დეტალური აღწერა, სასწავლო აქტივობის, ქულებისა და შეფასების მექანიზმების მითითებით, რაც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები მოწვეულ პედაგოგებთან, პროფესორებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ
- საგნების სილაბუსები
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
- ელექტრონული სწავლების პორტალი https://moodle.bsu.ge/
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ცალკეული საგნების მიმდინარე შეფასებიდან დისკუსიის, როგორც შეფასების ერთ-ერთი კომპონენტის ამოღება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში და იღებენ სათანადო კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან თუ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ სტუდენტური სერვისების ფართო სპექტრით, რომელთა უმეტესობა მათთვის ხელმისაწვდომია არაერთი ფუნქციით აღჭურვილი სტუდენტური პორტალის დახმარებით (https://portal.bsu.ge). პორტალი სტუდენტებს სთავაზობს ისეთი სახის სერვისებს, როგორიცაა უახლესი ინფორმაციის მიღება დაგეგმილი საუნივერსიტეტო პროექტების, გრანტების, სტიპენდიებისა და სოციალური პროგრამების შესახებ. მისი მეშვეობით შესაძლებელია კონფერენციებსა და სემინარებზე მონაწილეობის მისაღებად განაცხადის გაკეთება და საერთო სტუდენტურ საცხოვრებელში რეგისტრაცია. უნივერსიტეტში ასევე აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები, რომელთა შესახებ ინფორმაციის მიღება და მათში გაწევრიანება ასევე შესაძლებელია სტუდენტურ პორტალზე. გარდა ამისა, პროფესიული კუთხით განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ სტუდენტებს შეტყობინებები ხშირად მობილურზეც ეგზავნებათ მათი პროფესიისთვის საინტერესო სპეციფიკური თემატიკის გათვალისწინებით. ○ აღსანიშნავია ისიც, რომ პორტალზე, სტუდენტების ბაზასთან ერთად, შექმნილია დამსაქმებელთა ბაზა, რომელთაც შეუძლიათ პორტალის გამოყენებით დაუკავშირდნენ სტუდენტებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ელექტრონულად შეავსონ CV-ის ფორმა, რომელსაც განათავსებენ პორტალზე და რომელზე პირდაპირი წვდომაც აქვთ დამსაქმებლებს. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, მსგავსი ფორმით დამსაქმებლებთან კომუნიკაციამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა სტუდენტებისთვის დასაქმების ბაზარზე გამარტივებულად მოხვედრა. გარდა ამისა, დამსაქმებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა არაერთი საჯარო ორგანიზაციის ნება და მზადყოფნა ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის პროგრამის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკის გავლას მათ დაწესებულებებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია უსდ-სა და სხვადასხვა საჯარო ორგანიზაციას შორის სტუდენტთა პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტების კარიერულ წინსვლას. ○ სტუდენტების აკადემიურ და პროფესიულ სფეროში განვითარებას ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი სტუდენტური პროექტები. სტუდენტური პროექტების კონკურსში მონაწილეობის მიღება უსდ-ს ნებისმიერი

	სტუდენტისთვისაა შესაძლებელი, ხოლო გამარჯვებული სტუდენტური იდეების განხორციელებისთვის უნივერსიტეტის მხრიდან გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფა. ასევე ხაზი უნდა გაესვას უსდ-ს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას, რაც ასევე დადასტურდა საერთაშორისო პროექტებსა თუ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების გამოცდილებასთან გაცნობამ. როგორც აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს სპეციფიკურად საჯარო მმართველობის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გასაღრმავებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში აქტიურად ტარდება საზაფხულო და ზამთრის სკოლები სხვადასხვა მიმართულებით. ○ სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად სტუდენტებს ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სასწავლო კურსების შეფასების პროცესში სხვადასხვა გამოკითხვებში მონაწილეობის მიღებით. აღსანიშნავია ასევე მათი მონაწილეობა და სტუდენტების პრიორიტეტების გათვალისწინება ახალი სასწავლო კურსებისა თუ პროგრამების შემუშავების პროცესში. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს აკადემიური პერსონალისგან მისთვის საინტერესო საკითხებზე, მას ასევე აქვს შესაძლებლობა კონსულტაციისთვის ნებისმიერ დროს მიმართოს უნივერსიტეტის მაღალი რგოლის მენეჯერებს. ამგვარად, როგორც ამას სტუდენტებთან ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაციაც ადასტურებს, სტუდენტთა უმრავლესობა გრძნობს მნიშვნელოვან აკადემიურ თუ სხვა ტიპის მხარდაჭერას აკადემიური პერსონალისგან და კარიერული განვითარების სამსახურისგან, მათი აზრით, უნივერსიტეტი ყოველთვის ახალისებს მათ აკადემიურ თუ კარიერულ წინსვლას, მონაწილეობას სხვადასხვა პროექტსა თუ კონფერენციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	○ ინტერვიუს შედეგები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, დასაქმებისა და კარიერული წინსვლის სამსახურის წარმომადგენელი) ○ თვითშეფასების ანგარიში ○ შრომის ბაზრის ანალიზი ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ○ ელექტრონული პორტალი https://portal.bsu.ge ○ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 29 იანვრის №01 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიების თაობაზე“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9519_1.pdf ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ შესახებ ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N113 დადგენილება ბსუ-ში ,,საზაფხულო/ზამთრის სკოლის“ ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9317_1.pdf ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის #36 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი

კონკურსის დებულების შესახებ - https://bsu.ge/text_files/ge_file_6256_1.pdf
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ○ ○ არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის

აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საჯარო მმართველობის ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამის, განხორციელებაში მონაწილეობს შესაბამისი კვალიფიკაციის, სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე 44 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, როგორც საჯარო ადმინისტრირების ასევე მომიჯნავე მიმართულებებში უნივერსიტეტის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტებიდან. პერსონალის მაღალკვალიფიციურობა დასტურდება პროგრამაზე დართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებით, მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებებითა და გამოქვეყნებული ნაშრომებით, რაც ცხადყოფს, რომ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს აუცილებელი კომპეტენცია პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის.
  პროგრამაში ჩართულია შემდეგი რაოდენობის აკადემიური/მოწვეული პერსონალი: 10 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 9 ასისტენტ პროფესორი, 2 ასისტენტი და 9 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან წარმოადგენს 35/9. პროგრამის განხორციელებაში ჩართული 35 აკადემიური პერსონალიდან 32 არის უნივერსიტეტთან აფილირებული, რაც საერთო ჯამში იძლევა პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო გარანტიას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა და სტუდენტებისათვის შეთავაზებული საკონსულტაციო საათები შესაბამისობაშია საუნივერსიტეტო რეგულაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.
- პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება პროგრამაზე დართული ხელმძღვანელის პირადი საქმით. მას მინიჭებული აქვს საჯარო ადმინისტრირების აკადემიური დოქტორის ხარისხი, 17 წელია ჩართულია აკადემიურ/პედადოგიურ მუშაობაში, აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის გამოცდილება და გამოქვეყნებული აქვს 100 მდე ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.
- პროგრამის განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის დეკანთან, დეკანის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ჩართულნი არიან ფაკულტეტის მდივნები, დარგობრივი დეპარტამენტების სპეციალისტები და საბიბლიოთეკო-რესურსცენტრების წარმომადგენლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ვიზიტის განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №03 გადაწყვეტილება "ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი" დამტკიცების თაობაზე - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8558_1.pdf
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" იხ. ბმულზე https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8568_1.pdf
- პერსონალის საშტატო დატვირთვები (ინახება დარგობრივ დეპარტამენტებში);
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №2 გადაწყვეტილება - ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8444_1.pdf
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების კოდიფიცირებული დანართი N1 ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8559_1.pdf
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის დადგენილება ,,ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, https://bsu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf
- იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება - https://bsu.ge/text_files/ge_file_10853_1.pdf

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის მიზნებისათვის უსდ-ში მოქმედებს "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა", რომლის შესაბამისადაც შემუშავებული და ამოქმედებულია 1) აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და 2) სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესები. ○ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ხორციელდება სასწავლო პროცესის პერიოდული მონიტორინგი, შეფასება და რეაგირება მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. ○ აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები აისახება აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ზრდისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობისათვის. გარდა ამისა უსდ-ში მოქმედებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა და განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები. ○ უსდ-ს შიდა რეგულაციებით შემუშავებულია შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები. ○ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე ევალება ანგარიშისა და რეკომენდაციების შემუშავება და უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და დეკანისათვის წარდგენა. ფაკულტეტის დეკანი უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უსდ-ს რექტორს წარუდგენს წინადადებებს პერსონალის შესაბამისი წარმომადგენლების მიმართ შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების

ღონისძიების გამოყენების შესახებ.

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიმართულებით უსდ-ში მოქმედებს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი, რომელიც განსაზღვრავს თემატურ კონფერენციებში, სემინარებში, კონგრესებში, ფორუმებში, ტრენინგებსა და სეზონურ სკოლებში მონაწილეობის პირობებს და შესაძლებლობას აძლევს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ისარგებლონ სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით. გარდა ამისა უსდ ენობრივი კომპეტენციების ასამაღლებლად თანადაფინანსების პრინციპით აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს ინგლისური ენის სერტიფიცირებულ კურსებს, ხოლო ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ასევე უზრუნველყოფს უცხოელი პროფესორების მოწვევას პერსონალის პროფესიული ზრდისა და პროგრამის დაგეგმვაში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინების მიმართულებით.
- უსდ-ში ასევე მოქმედებს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი შიდა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება ახალგაზრდა მკვლევართა მონაწილეობით.
- უსდ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის წასახალისებლად ასევე აქტიურად იყენებს ელექტრონულ პორტალს https://portal.bsu.ge რაც დაინტერესებულ პირს აძლევს ტრენინგ კურსზე ელექტრონული რეგისტრირების შესაძლებლობას.
- უსდ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას ემსახურება უსდ-ს ადმინისტრაციის მიერ საზაფხულო/ზამთრის სკოლის ჩატარების ხელშეწყობაც დაფინანსების ზღვრული ოდენობების ფარგლებში.
- როგორც აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან საუბრისას გამოიკვეთა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და მასში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით ასევე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს Erasmus-ის პროექტის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის გასაღრმავებლად საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ“; იხ. ბმულზე - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8568_1.pdf
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ შესახებ
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ შესახებ
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის 04 გადაწყვეტლების - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე

https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10664_1.pdf

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 29 იანვრის №01 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიების თაობაზე"; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9519_1.pdf
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების შესახებ - https://bsu.ge/text_files/ge_file_6256_1.pdf
- ელექტრონული პორტალი https://portal.bsu.ge
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 ნოემბრის N113 დადგენილება ბსუ-ში „საზაფხულო/ზამთრის სკოლის" ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9317_1.pdf
- თვითშეფასები ელექტრონული სისტემა - https://apa.bsu.edu.ge
- ბსუ-ს ადმინისტარციის ხელმძღვანელის 2018 წლის 5 სექტემბრის ბრძანება ბსუ-ს პერსონალის მივლინების ადმინისტრაციული წესის დამტკიცების შესახებ, - https://bsu.ge/text_files/ge_file_10665_1.pdf

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილი საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა მოიცავს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, ინტერნეტქსელში ჩართულ კომპიუტერულ კლასებს და საკონფერენციო დარბაზებს. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ○ გარდა სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურისა საგანმანათლებლო პროგრამისათვის უზრუნველყოფილია წვდომა საუ-ნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და შემდეგ ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებთან: **EBSCO Publishing** (http://search.epnet.com); **Cambridge University Press** (http://journals.cambridge.org); **Royal Society Journals Collection** (http://royalsocietypublishing.org); **BioOne** (http://www.bioone.org); ○ როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან საუბრისას გამოიკვეთა პროგრამის სტუდენტებისათვის ასევე ხელმისაწვდომი იქნება ევროპისმცოდნეობის მიმართულების ინგლისურენოვანი ლიტერატურა და შესაბამისი ინსტიტუტის ინფრასტრუქტურა. ○ გარდა ამისა უნივერსიტეტი საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამას უზრუნველყოფს პროფესიული პრაქტიკის ბაზით, რისთვისაც მას რეგიონის სხვადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ○ ვიზიტის განხორციელებისას დათვალიერებულ იქნა საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო კურსებით გათვალისიწნებული დავალებების შესრულებისთვის გამოყოფილი საჯარო მმართველობის კვლევის ლაბორატორია, სოციალური კვლევის ცენტრი, ფსიქოლოგიის ლაბორატორია, იურიდიული კლინიკა, საიმიტაციო დარბაზი. ○ უნივერსიტეტში დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები, შენობები აღჭურვილია სიგნალისაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი სახანძრო ონკანების თანამედროვე სისტემით, ელექტროენერგიის მიწოდება ხდება უწყვეტად, შენობაში მოქმედებს ცენტრალიზებული გათბობის სისტემა. თვალხილულ ადგილებში გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიზიტის განხორციელებისას სასწავლო ინფრასტრუქტურის - კომპიუტერული კლასები, კვლევითი ცენტრები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა - ვიზუალური დათვალიერების შედეგები; ○ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ბსუ-ს მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ ბსუ–ს ბიბლიოთეკა http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html

- ელექტრონული წიგნები https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php
- https://lib.bsu.edu.ge/index.php?action=5
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამისათვის გათვალისწინებული რესურსების გამოყოფის შემოთავაზებული სქემა ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამაზე თანდართული ბიუჯეტის დოკუმენტი დეტალურად ასახავს თანაფარდობას პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად საჭირო ხარჯებსა და სტუდენტების რაოდენობას შორის.
- როგორც ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა უნივერსიტეტი ყოველწლიურად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სხვადასხვა კონფერენციასა თუ სეზონურ სკოლებსა და ფორუმებში მონაწილეობის სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას, მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ბიუჯეტის ფაილში. სასურველია, რომ აღნიშნული დოკუმენტი უფრო მეტი დეტალურობით გადმოსცემდეს კვალიფიკაციის ასამაღებელი აქტივობებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების კომპონენტს.
- ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ პროგრამაში მისი ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე ჩართულია უნივერსიტეტის სხვადასხვა, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის წარმომადგენელი, რაც ასევე წარმოადგენს პროგრამის დამატებით ფინანსურ გარანტიას თუმცა აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად არ არის ასახული პროგრამის ბიუჯეტში.
- იმისათვის რათა თვალნათელი გახდეს პროგრამის ბიუჯეტის შესაბამისობა პროგრამის საჭიროებებთან სასურველია, რომ პროგრამის ბიუჯეტის მუხლობრივი განაწილების სქემაში ჩაემატოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი მივლინებების, სტუდენტური პროექტებისა და შიდა საუნივერსიტეტო საპროექტო გრანტებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობები. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ზოგადად საუნივერსიტეტო ბიუჯეტში და არა კონკრეტულად საჯარო ადმინისტრირების პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტში.
- ინტერვიუებისას ასევე გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტის წიგნადი ფონდის განახლება და კომპიუტერული რესურსცენტრის პერიოდული აღჭურვა ხორციელდება, როგორც საუნივერესიტეტო თანხებით ასევე სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობით მიღებული გრანტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტის განხორციელებისას უსდ-ს/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №02 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“
- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ზოგადი საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან საჯარო ადმინისტრირების პროგრამის

საბიუჯეტო დოკუმენტში შემდეგი ინფორმაციის გადმოტანა - გამოყოფილი თანხების ოდენობები: - სამეცნიერო-კვლევითი მივლინებები - სტუდენტური პროექტები - შიდა საუნივერსიტეტო საპროექტო გრანტების პროგრამისათვის განკუთვნილი წილი
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეყრდნობა დაგეგმვის, შეფასების-მონიტორინგის და გაუმჯობესების მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მთავარი პრინციპებია: - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი; - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა; - პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია; - სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი ხარისხი; - სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია; - პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და რეაგირება. ○ აღნიშნული პრინციპების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. ○ ხარისხის შიდა შეფასების მიზნით გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულების და შრომის ბაზრის კვლევის მექანიზმები. ○ უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტურ განხორციელებასა და განვითარებას კოორდინირებას უწევენ საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და დარგობრივი დეპარტამენტების კოორდინატორები. ვიზიტისას ცალსახად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად არის ჩართული აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან სამუშაო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სტარნდარტებთან პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსების მოსაყვანად. ○ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ელექტრონული ფორმით ტარდება. მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. ○ ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა, მისი შემუშავევის პროცესში პოტენციური დამსაქმებლებისა და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა. ინტერვიუებში მონაწილე სტუდენტებმა და დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ მათი გამოკითხვის მასალებისა და მოსაზრებების გაანალიზების საფუძველზე პროგრამის კურიკულუმში აისახა შესაბამისი ცვლილებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ.
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8568_1.pdf იხ.
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 18 ივლისის №66 დადგენილება - „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები იხ. ბმულზე -
- https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html
- ბსუ-ს რექტორის 07 მაისის №01-02/69 ბრძანება - „ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კურიკულუმის კომიტეტისა შემადგენლობისა და მუშაობის გეგმის დამტკიცების შესახებ
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №146 დადგენილება - „იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ“
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5450_1.pdf
- ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 02 ოქტომბრის №02-02/49 ბრძანება ,,ბსუ-ს ზოგიერთ აკადემიურ პერსონალისათვის დარგობრივ დეპარტამენტებში ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქციის დაკისრების შესახებ"
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N09 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება, იხ. ბმულზე - https://bsu.ge/text_files/ge_file_5788_1.pdf
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - http://emis.bsu.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასება ეფუძნება ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყენებს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში არსებულ თანამშრომლობას პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნებისათვის. გარე შეფასების ფარგლებში მოხდა საგანამანთლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლის შედეგების მიღწევის კომპონენტების, სწავლის და სწავლების მეთოდების გარე განხილვა, ზალცბურგის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორის ფრანც კოკისა და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ იან ქიოლერის მონაწილეობით. ორივე პროფესორის რჩევები ასახულ იქნა პროგრამაში. ○ საგანმანთლებლო პროგრამის გარე შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტად ასევე განისაზღვრა – კოლეგების (სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან) მიერ პროგრამისა და სტუდენტთა ნამუშევრების შეფასება, ისევე როგორც სხვა (Peer) უნივერსიტეტებთან შედარება, შესაბამისი პრაქტიკის განხილვის, გაანალიზებისა და პროგრამაში გათვალისწინების მიზნებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ.

- ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები- https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html
- ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ფრანც კოკთან შეხვედრა იხ. ბმულზე - https://bsu.ge/sub-60/page/12298/index.html
- ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორთან იან ქიოლერთან შეხვედრა იხ. ბმულზე - https://bsu.ge/sub-60/page/12438/index.html
- საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო გეგმა
- შეხვედრა დამსაქმებლებთან, ფოკუს ჯგუფის კვლევა- https://bsu.ge/sub-60/page/12379/index.html სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი # 5, 24 აპრილი, 2019 წელი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის განხორციელებისას ეყრდნობა შიდა და გარე შეფასებების მექანიზმებს. მონიტორინგის პროცესი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
  - სტუდენტთა გამოკითხვა;
  - სასწავლო პროცესის, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი;
  - ურთიერთდასწრება;
  - აკადემიური მოსწრების ანალიზი;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება;
  - კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა;
  - საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა;
  - საერთაშორისო პრაქტიკის სისტემატური შესწავლა და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების მექანიზმების გამოყენებით, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნებისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს. როგორც ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება მოხდა პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპზე.
- საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის კიდევ ერთ კომპონენტს წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომების დაცვის და პროფესიული პრაქტიკის განხორციელების მონიტორინგი პროგრამის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების შეფასებისა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად.
- საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პროგრამის მონიტორინგის დამატებით კომპონენტად გეგმავს სტუდენტის ჩარიცხვის მოლოდინისა და დასრულების კმაყოფილების კვლევის შედეგების შედარებას პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად, რათა აღნიშნული მონაცემები აისახოს პროგრამის განვითარების სტრატეგიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები იხ. ბმულზე -
- https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html
- აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა იხ. ბმულზე -
- https://employer.bsu.edu.ge/PollAdmin
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ“

- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა იხ. - www.apa.bsu.edu.ge
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის, 17 ივლისის №10 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5450_1.pdf

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

საბაკალავრო საგანანათლებლო პროგრამა - საჯარო მმართველობა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო დოლიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო ფარსადანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო ნოზაძე